ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6252325

ნომერი: AR1936476

თარიღი : 30.11.2022

გაცემის თარიღი : 15.12.2022

გაცნობის თარიღი : 27.12.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ ახალაძე პ/ნ 60003006496
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 8 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს სმართ ვეარჰაუს კოდი: 405131085

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის №6223599 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 30 ნოემბერს №AR1936476 განცხადებით მომართა ბესიკ ახალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის №6223599 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის №6223599 ბრძანებით, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.032.599), სამსახურის 2022 წლის 18 ოქტომბრის №6167778 ბრძანებით შეთანხმებული საწყობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 25 ნოემბრიდან 2024 წლის 25 მაისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის №6223599 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2022 წლის 25 ნოემბრიდან 2024 წლის 25 მაისის ჩათვლით“-ს ნაცვლად დაფიქსირებულია „2022 წლის 25 ნოემბრიდან 2023 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 02 ნოემბრის №AR1930985 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 18 (თვრამეტი) თვეზე. შესაბამისად, სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის №6223599 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2022 წლის 25 ნოემბრიდან 2024 წლის 25 მაისის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის №6223599 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის №6223599 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 25 ნოემბრიდან 2024 წლის 25 მაისის ჩათვლით.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის №6223599 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის №6223599 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.